Kaspi Municipality
Digitally signed by Kaspi Municipality
Date: 2019.06.04 14:35:42 +04'00'

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 109

ქ. თ ბ ი ლ ი ს ი მ ა ი ს ი 2 0 1 9 წ ე ლ ი

ერთის მხრივ, კასპის მუნიციპალიტეტის მერია ს/კ 323555302 (შემდგომში წოდებული "დამკვეთი'), მისი მერი მანუჩარ მერებაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ა/ო „გადასახადის გადამხდელთა კავშირი") ს/კ 203842510 (შემდგომში წოდებული "შემსრულებელი), მისი აღმასრულებელი დირექტორის გიგლა მიქაუტაძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა/ო "გადასახადის გადამხდელთა კავშირი "მიერ შეხვედრის ჩატარება თემაზე: **სახელმწიფო შესყიდვების მართვა, რისკების იდენტიფიცირება და შესაბამისი კონტროლის მექნიზმები, 2019 წლის 7-9 ივნისს, კახეთში, სასტუმრო „სავანეთში"**

2. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

2.1 ა/ო "გადასახადის გადამხდელთა კავშირი "("შემსრულებელი') იღებს ვალდებულებას ჩაატაროს სამუშაო შეხვედრა, სემინარი კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ორი თანამშრომლისთვის ("დამკვეთი"). CPV- 79951000 - სემინარების ორგანიზება.

2.2 კასპის მუნიციპალიტეტის მერია ("დამკვეთი") იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ა/ო „გადასახადის გადამხდელთა კავშირი" (შემსრულებელი") შეთანხმებული საზღაური.

2.3 შეხვედრაში მონაწილეობის საზღაური გადახდილი იქნება არაუგვიანეს 5 ივნისისა ადრე 2400 ლარის ოდენობით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. კასპის მუნიციპალიტეტის მერიის თითოეული პიროვნების დასწრების ღირებულებაა 1200 (ათას ორასი) ლარი. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2400 ლარს.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

4.2. მხარეები მოვალენი არიან ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში 1 (ერთი) კვირის ვადაში აცნობონ მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზი და მათი შესრულების მოსალოდნელი თარიღი.

4.3. ყველა შესაძლო დანართი, ორივე მხარის მიერ შეთანხმებული და ხელმოწერილი, ძალაშია მხოლოდ ამ ხელშეკრულებასთან ერთად და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4.4. მხარეები მიმართავენ მთელ ძალისხმევას, რათა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა სადავო საკითხი ან/და წინააღმდეგობა გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

5. ხელშეკრულების ვადა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს თითოეული მხარისათვის მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე.

5.2. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მხარე ვალდებულია წინასწარ 2 კვირის ვადაში წერილობითი ფორმით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის შესახებ.

5.3. ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არა ერთგზის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება შეიძლება გახდეს ხელშეკრულების უპირობო შეწყვეტის საფუძველი. ამ დროს ხელშეკრულების გაუქმების ინიციატორი მეორე მხარე უნაზღაურებს ამ მომენტისათვის გაწეული მომსახურების ღირებულებას ან აღნიშნულით გამოწვეულ ზიანს.

6. ფორს – მაჟორი

6.1. კანონმდებლობით დადგენილი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისა და მოქმედების შემთხვევაში მხარეები თავისუფლდებიან ამ გარემოებებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან და ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან. ამასთანავე, ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა არ იწვევს ხელშეკრულების მოშლას.

7. დამატებითი დებულებები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება ეყრდნობა მხარეებს შორის მიღწეულ სრულ ურთიერთგაგებას.

7.2 მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისას წამოჭრილი საკითხი, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.3 მხარეები ადასტურებენ, რომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერით ისინი მოქმედებენ მხოლოდ საკუთარი სახელით და სახელშეკრულებო მუხლების არსრულებაზე წარმომადგენლობის რაიმე უფლება მესამე პირებს არ ეკისრებათ.

7.4 არსებულ ხელშეკრულებაში ნებისმიერი სახის ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

7.5 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და რჩება მხარეებთან.

მხარეთა ხელმოწერები:

გადასახადის გადამხდელთა კავშირი ს/კ 203842510 მის: ლუბლიანას 13 ბ ტელ: +995591446244 მიმღები ანგარიში: ს.ს. „თიბისი ბანკი“ GE61TB7730636080100005ბანკის კოდი: BAGAGE22 ბანკის კოდი: TBCBGE22	კასპის მუნიციპალიტეტის მერია ს/კ 232555302 მის: ქ. კასპი კოსტავას ქ. #18 ტელ: 0(371) 22-20-20 ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი: TRESGE22 ანგ. ნომერი: GE24NB 0330 1002 0016 5022;
აღმასრულებელი დირექტორი	კასპის მუნიციპალიტეტის მერი:
გ. მიქაუტაძე	მანუჩარ მერეგაშვილი

ინვოისი

N19/19

მიმღები	**ააიპ გადასახადის გადამხდელთა კავშირი - ს/კ 203842510**
მიმღების ბანკი	**ს.ს. „თიბისი ბანკი“** **GE61TB7730636080100005**
	ბანკის კოდი: TBCBGE22

გაცემულია	**კასპის მუნიციპალიტეტის მერია**
დასახელება	
თანხა	**2400 (ორი ათას ოთხასი) ლარი**

მის: ლუბლიანას ქ. 13 ბ

ტელ: +995591446244

Email: kk@tpu.org.ge

თარიღი: 21.05.2019